საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის

ბრძანება №165

2016 წლის 28 დეკემბერი

ქ. თბილისი

„მსჯავრდებულის რისკის სახეების, რისკის შეფასების კრიტერიუმების, რისკის შეფასებისა და გადაფასების წესის, მსჯავრდებულის იმავე ან სხვა ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში გადაყვანის წესისა და პირობების, აგრეთვე რისკების შეფასების გუნდის საქმიანობისა და უფლებამოსილების განსაზღვრის წესის თაობაზე" საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 9 ივლისის №70 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„მსჯავრდებულის რისკის სახეების, რისკის შეფასების კრიტერიუმების, რისკის შეფასებისა და გადაფასების წესის, მსჯავრდებულის იმავე ან სხვა ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში გადაყვანის წესისა და პირობების, აგრეთვე რისკების შეფასების გუნდის საქმიანობისა და უფლებამოსილების განსაზღვრის წესის თაობაზე" საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 9 ივლისის №70 ბრძანებაში (www.matsne.gov.ge, 13/07/2015, 100110000.22.038.016485) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანების მე-4 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 4**

გუნდმა და ჯგუფმა ამ ბრძანების შესაბამისად მსჯავრდებულთა რისკის პირველადი შეფასება, ხოლო სამინისტროს პენიტენციური დეპარტამენტის დირექტორმა მათი რისკის შესაბამის დაწესებულებებში მსჯავრდებულთა განაწილება დაასრულონ 2017 წლის 1 ივლისამდე.".

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა
და პრობაციის მინისტრი **კახა კახიშვილი**